საქართველოს საერთო სასამართლოების
მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№1/01-2022 **28 დეკემბერი 2022 წელი**

საქართველოს საერთო სასამართლოების
მოსამართლეთა სადიციოლინო კოლეგიამ
შემდეგი შემადგენლობით:

სხდომის თავმჯდომარე - **გიორგი გოგინაშვილი**

წევრები: **თეა ლეონიძე**

მერაბ ლომიძე

მიდვანი - თამარ გაგუა

მხარეები:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

წარმომადგენლები: ვ.ბ. ნ.მ.

---------- სასამართლოს მოსამართლე თ.ხ.

დახურულ სხდომაზე განიხილა დისციპლინური საქმე ---------- სასამართლოს მოსამართლე თ.ხ-ს მიმართ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 10 ნოემბრის N27/19 განკარგულებით, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის აპარატის კონსულტანტის 2019 წლის 11 თებერვლის მოხსენებით ბარათის საფუძველზე, დისციპლინური საქმის წინასწარი შემოწმების შედეგად, ,,საერთო სასამართლოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 75^5-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტის და 75^6-ე მუხლის თანახმად, ---------- სასამართლოს მოსამართლე - თ.ხ. მიეცა დისციპლინურ პასუხისგებაში, რომლის საფუძველი გახდა ,,საერთო სასამართლოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის ,,გ.ბ'' ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა - მოსამართლის მიერ დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელებისათვის ხელის შეშლა;

მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემას საფუძვლად დაედო შემდეგი გარემოებები:

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის აპარატის კონსულტანტის 2019 წლის 11 თებერვლის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე თ.ხ-ს მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 22 მარტის №27/19 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 12 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, 2020 წლის 12 ოქტომბერს მიიღო გადაწყვეტილება, მოსამართლე თ. ხ-ს მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის თაობაზე.

მოსამართლე თ. ხ-მ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ახსნა-განმარტება 2020 წლის 8 დეკემბერს წარადგინა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 13 დეკემბრის №211/208-03 წერილით -------- სასამართლოს მოსამართლე თ. ხ.-საგან გამოთხოვილ იქნა კ. ო.-ს საქმის მასალების ასლები.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 10 იანვრის №2/208-03 წერილით ---------- სასამართლოს მოსამართლე თ. ხ.-საგან განმეორებით იქნა გამოთხოვილი კ. ო.-ს საქმის მასალები.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელმა ინსპექტორის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, მოსამართლე თ. ხ.-სთვის დამოუკიდებელი

ინსპექტორის სამსახურიდან შესული წერილების გადაცემის შესახებ, ---------- სასამართლოს თავმჯდომარის მიერ 2019 წლის 6 თებერვალს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში გადაიგზავნა ამავე სასამართლოს სამდივნოს უფროსის გ. მ.-ს, მოსამართლე თ. ხ.-ს თანაშემწის ს. ბ.-სა და კანცელარიის სპეციალისტის ს. ბ.-ის მოხსენებითი ბარათები.

---------- სასამართლოს კანცელარიის სპეციალისტის ს. ბ.-ის მოხსენებითი ბარათის თანახმად, 2018 წლის 14 დეკემბერსა და 2019 წლის 11 იანვარს ---------- სასამართლოს კანცელარიაში შევიდა დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურიდან მოსამართლის სახელზე გაგზავნილი კონფიდენციალური კონვერტები, რომლებიც იმავე დღეს გადაეცა მოსამართლის თანაშემწეს ს. ბ.-ს. ---------- სასამართლოს მოსამართლის თანაშემწის ს. ბ.-ს მოხსენებითი ბარათის თანახმად, აღნიშნული კონვერტები გაუხსნელი სახით იმავე დღეს გადაეცა მოსამართლე თ. ხ.-ს.

---------- სასამართლოს სამდივნოს უფროსის გ. მ.-ის მოხსენებითი ბარათის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურიდან 2018 წლის 14 დეკემბერსა და 2019 წლის 11 იანვარს ---------- საქალაქო სასამართლოში შესული კონფიდენციალური კონვერტების იმავე დღეს გადაცემა დასტურდება ---------- სასამართლოს მოსამართლე თ. ხ.-ს თანაშემწის ს. ბ. და სპეციალისტის ს. ბ.-ს მოხსენებითი ბარათებით.

---------- სასამართლოს ---------- მოსამართლე თ. ხ.-მ კ. ო.-ს საჩივართან დაკავშირებული საქმის მასალების ასლები საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში გადააგზავნა 2019 წლის 7 თებერვალს.

მოსამართლე თ. ხ.-მ 2020 წლის 8 დეკემბერს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში წარგენილ ახსნა-განმარტებაში ყურადღება გაამახვილა დატვირთულობაზე და აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში განიხილავდა განსაკუთრებულად რთული კატეგორიის საქმეებს - საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე დავებს. ასევე, სახელმწიფოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე ადმინისტრაციულ დავებს, რომელთა განხილვასა და გადაწყვეტას დიდი დრო სჭირდებოდა. ამასთან, მოსამართლემ აღნიშნა, რომ საგადასახადო და სხვა კატეგორიის ვიწრო სპეციალიზაციის საქმეებს მხოლოდ 3 მოსამართლე განიხილავდა რაც ზრდიდა მათ დატვირთილობასა და ვადების დაცვას ობიექტურად შეუძლებელს ხდიდა. დამატებით განმარტა, რომ საანგარიშო პერიოდში მის აპარატში არ მუშაობდა მწერალი თანაშემწე, რომელიც დაეხმარებოდა დასაბუთებული გადაწყვეტილების პროექტის მომზადებაში.

ახსნა-განმარტებაში მოსამართლემ აღნიშნა, რომ კარგად აცნობიერებდა სწრაფი მართლმსაჯულების უზრუნველყოფის მნიშვნელობას, თუმცა, არ ემხრობოდა

ზედაპირული, შაბლონური დასაბუთებით გადაწყვეტილების მხარისათვის გაგზავნას. განმარტა, რომ ცდილობდა გარკვეული წვლილი შეეტანა სასამართლო პრაქტიკის განვითარებაში და სამართლებრივად დასაბუთებული გადაწყვეტილებით აემაღლებინა მხარეთა ნდობა სასამართლოს მიმართ, რაც საერთო ჯამში ხელს შეუწყობდა საზოგადოებაში სასამართლოს ავტორიტეტის განმტკიცებას.

რაც შეეხება დისციპლინური სამართალწარმოების განმახორციელებელი ორგანოსათვის ხელის შეშლას მოსამართლე თ. ხ.-მ ახსნა-განმარტებაში მიუთითა, რომ ზუსტი თარიღი წერილის გადაცემის არ ახსოვდა, თუმცა ვინაიდან მოსარჩელის საჩივარი შეეხებოდა სწორედ სასამართლო გადაწყვეტილების ჩაუბარებლობას და დამოუკიდებელი ინსპექტორის მოთხოვნის მიღებისას ჯერ კიდევ არ ჰქონდა მომზადებული დასაბუთებული გადაწყვეტილება, მნიშვნელოვნად მიიჩნია, მოემზადებინა დასაბუთებული გადაწყვეტილება, გაეგზავნა მხარისათვის და ამის შესახებ ინფორმაცია საქმის მასალებთან ერთად მიეწოდებინა დამოუკიდებელი ინსპექტორისათვის. შესაბამისად, დამოუკიდებელ ინსპექტორს ექნებოდა შესაძლებლობა ემსჯელა დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაუბარებლობის კონკრეტულ ვადაზეც.

ამასთან, მოსამართლემ აღნიშნა, რომ წერილში, საქმის მასალების გამოთხოვის შესახებ, არ ყოფილა განმარტებული საქმის მასალების გაგზავნის კონკრეტული ვადის თაობაზე. თუმცა ახსნა-განმარტებაში მიუთითა, რომ არ ჰქონია განზრახვა ან გონივრული მოლოდინი იმისა, რომ დამოუკიდებელი ინსპექტორის საქმიანობა დაბრკოლდებოდა თუკი გადაწყვეტილების მომზადების შემდეგ გაუგზავნიდა მას საქმის მასალებს.

მოსამართლის განმარტებით მიაჩნია, რომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მოთხოვნის უგულებელყოფად არ უნდა ჩაითვალოს მისი მხრიდან საქმის მასალების გაგზავნის დაყოვნება იმ პირობებში, როდესაც არ ჰქონია მითითებული ზღვრული ვადა ან კონკრეტული თარიღი რის შემდეგაც მის მიერ საქმის მასალების გადაცემა ჩაითვლებოდა დაგვიანებულად, ხოლო ინსპექტორის მოთხოვნა შეუსრულებლად.

დადგენილია, რომ საქმის მასალები დამოუკიდებელ ინსპექტორს გაუგზავნა 2019 წლის 7 თებერვალს, მას შემდგომ რაც მხარეს გაეგზავნა გადაწყვეტილება და ტექნიკურად მომზადდა საქმის მასალების ასლები.

მოსამართლემ აღნიშნა, რომ მოთხოვნის უგულებელყოფად შეიძლებოდა ჩათვლილიყო ის შემთხვევა თუ მოთხოვნას არ მოჰყვებოდა რეაგირება ან კიდევ მოჰყვებოდა იმდენად დაგვიანებით, რომ ეს მიანიშნებდა მოსამართლის განზრახვაზე ან გაუფრთხილებლობაზე, ხელი შეეშალა სადისციპლინო ორგანოს საქმიანობისთვის.

მოსამართლე ყურადღებას ამახვილებს „საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების

შესახებ“ საქართველოს კანონის განმარტებით ბარათზე და აღნიშნავს, რომ საქმის მასალების დაგვიანებით მიწოდება ინსპექტორის სამსახურისათვის არ ჯდება განმარტებით ბარათში ასახულ დისციპლინური სამართალწარმოების განმახორციელებელი ორგანოსათვის ხელის შეშლის არცერთ ელემენტში.

რაც შეეხება ქმედების სუბიექტურ მხარეს მოსამართლეს მიაჩნია, რომ თუკი დადგინდება, რომ დამოუკიდებელი ინსპექტორის საქმიანობა არსებითად დაბრკოლდა, ასევე უნდა დადგინდეს მოსამართლის სუბიექტური დამოკიდებულებაც ქმედების მიმართ. მოსამართლეს მიაჩნია, რომ დაუდევრობად ვერ ჩაითვლება ზემოაღნიშნული ობიექტური განმაპირობებელი ფაქტორები. შესაბამისად, მიიჩნევს, რომ ალბათობის მაღალი ხარისხით არ დასტურდება ქმედების ელემენტები შესაბამისად მიაჩნია, რომ ქმედება არ უნდა დაკვალიფიცირდეს დისციპლინურ გადაცდომად.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „დისციპლინური გადაცდომა არის მხოლოდ ამ კანონით გათვალისწინებული, მოსამართლის მიერ ჩადენილი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი ქმედება.“ შესაბამისად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც დისციპლინური გადაცდომის სახეების ჩამონათვალში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს ადგილი საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი უფლებამოსილია მოითხოვოს დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტთან დაკავშირებული ყველა საჭირო ინფორმაცია, დოკუმენტი და მასალა, მიიწვიოს სხვა პირი და მოისმინოს მისი ინფორმაცია. ამავე ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს „მოსამართლის მიერ დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელებისათვის ხელის შეშლა“.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს არსებობა აუცილებელი პირობაა ადამიანის უფლებების დაცვისა და დემოკრატიული სახელმწიფოს განმტკიცებისათვის. ამ პროცესში, ერთ-ერთი მთავარი როლი ანგარიშვალდებულ მართლმსაჯულებას ენიჭება, რომლის მნიშვნელოვან კომპონენტს სწორედ ეფექტური დისციპლინური სამართალწარმოების პროცესი წარმოადგენს. მართალია, სასამართლო

დამოუკიდებლობა უაღრესად მნიშვნელოვანი გარანტიაა, მაგრამ არსებობს იმის აუცილებლობაც, რომ მოხდეს მოსამართლის მხრიდან არასათანადო ქცევის პრევენცია და არ მოხდეს ამ ქცევის არგუმენტად სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპის გამოყენება.[1] სწორედ ამიტომ აუცილებელია, რომ დამოუკიდებლობა დაბალანსებული იყოს მოსამართლის კანონის და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულებით. სასამართლო ხელისუფლება, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ინსტიტუტი დემოკრატიული მმართველობის პირობებში უნდა იყოს ანგარიშვალდებული ხალხის წინაშე.[2]

საზოგადოების ნდობა და პატივისცემა სასამართლო ხელისუფლებისადმი სასამართლო სისტემის მუშაობის ეფექტიანობის გარანტიებს წარმოადგენს: ცალსახად ნათელია, რომ სამოსამართლო ქცევა პროფესიულ სფეროში საზოგადოების წევრების მიერ განიხილება, როგორც სასამართლოების მიმართ ნდობის განუყოფელი ნაწილი.[3] მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის ინსტიტუტი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსამართლეთა პროფესიულ საქმიანობაზე. მოსამართლეთა დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის ეფექტური სისტემა არსებითია სასამართლო სისტემის ფუნქციონირებისათვის.

მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა სამი ძირითადი მიზეზის გამო დგება: პირველი დემოკრატიული საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულებაა. დისციპლინური სამართალწარმოების გამოყენების მიზეზი საზოგადოების წინაშე მოსამართლეთა ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფაა. ამ გზით, საზოგადოებას შეუძლია თავისუფლად აკონტროლოს სასამართლო ხელისუფლება. ამ კონტროლის გარეშე, მოქალაქეებსა და ხელისუფლებას შორის ძალაუფლების ფუნდამენტური გაცვლა არ შეიძლება იყოს ლეგიტიმური. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული უფრო მეტად პოლიტიკური თანამდებობის პირებზე ვრცელდება, ეს ეხება მოსამართლეებსაც. მეორე - კანონის მოთხოვნათა დაცვა და აღსრულებაა. ამ შემთხვევაში, მოსამართლის მიერ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მიღებულ გადაწყვეტილებაზე უნდა მოქმედებდეს არა მისი პირადი მოსაზრებები, არამედ ზოგადი სამართლებრივი პრინციპები. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების მიზეზი სამართლებრივი ნორმების დაცვაა. მოსამართლის გადაწყვეტილება ზუსტი და თანმიმდევრული უნდა იყოს. მესამე - მოსამართლეები უნდა შეესაბამებოდნენ პროფესიული ქცევის ნორმებსა და სტანდარტებს, რათა არ დაკარგონ პატივისცემა. აღნიშნული პრობლემების არსებობა საფრთხეს უქმნის მოსამართლის დადებით შეფასებას. როდესაც, მოსამართლის გადაწყვეტილება

---

[1] International Principles on the Independence and Accountability of Judges and Lawyers and Prosecutors, Practitioners Guide No.1, International Commission of Jurists.

[2] Guidance for promoting judicial independent and impartiality, Office of Democracy and Governance Bureau for Democracy, Conflict, and Humanitarian Assistance U.S. Agency for International Development (2002)

[3] „მოსამართლეთა პროფესიული ქცევის მარეგულირებელი პრინციპებისა და წესების, კერძოდ, ეთიკის ნორმების, თანამდებობასთან შეუფერებელი ქცევისა და მიუკერძოებლობის შესახებ“, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE), დასკვნა 3 (2002), §22, გვ. 5

უფრო მეტად საზოგადოებრივ აზრზეა მორგებული და იზოლირებულია სამართლებრივი ნორმებისგან, სასურველი შედეგი ვერ მიიღწევა. თუმცა, დისციპლინური ღონისძიება შეიძლება გატარდეს იმ მოსამართლის მიმართაც, რომლის გადაწყვეტილებაც იურიდიულად სწორია და კანონის სრული დაცვითაა მიღებული.[4]

საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიამ 2013 წლის 12 აპრილის №1/04-12 გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ მოსამართლე ვალდებულია, მასზე დაკისრებული მოვალეობები განახორციელოს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სათანადო გულისხმიერებით.[5]

მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემის განხილვის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს დისციპლინური გადაცდომის სახეებსა და სანქციებს. სამართლის ნებისმიერ სისტემას სჭირდება დისციპლინური სისტემა, თუმცა ქცევა რომელიც შეიძლება გახდეს დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი სამართლებრივ ნორმაში უნდა იყოს გაწერილი. დისციპლინური ორგანოს საქმიანობის ხელის შეშლა დისციპლინური გადაცდომის სახედ მიიჩნევა შემდეგ ქვეყნებში: ესპანეთში, სერბეთში და ალბანეთში.[6] ინსპექტორის სამუშაოს ხელის შეშლა „სასამართლო ხელისუფლების შესახებ“ ესპანეთის ორგანული კანონის 418-ე მუხლის თანახმად მძიმე გადაცდომის სახეს წარმოადგენს.[7]

მსგავსად ესპანეთში არსებული დისციპლინური სამართალწარმოების სისტემისა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთი სახე დისციპლინური სამართალწარმოების განმახორციელებელი ორგანოსათვის ხელის შეშლაა. მნიშვნელოვანია კანონის განმარტების მეთოდით განისაზღვროს თუ რას გულისხმობს ორგანულ კანონში არსებული ჩანაწერი „მოსამართლის მიერ დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელებისათვის ხელის შეშლა“.

აღსანიშნავია, რომ კანონის განმარტების რამდენიმე მეთოდი არსებობს. განმარტების ხერხები ემსახურება ნორმის ერთგვაროვანი შეფარდების მიზანს.[8] მოცემულ შემთხვევაში, კანონის განმარტების მეთოდებიდან მნიშვნელოვანი და საყურადღებოა კანონის განმარტების ისტორიული მეთოდი. ისტორიული განმარტება არკვევს კანონმდებლის ისტორიულ მიზანს. ისტორიული განმარტების პროცესში, ჩვეულებრივ ითვალისწინებენ კანონის მიღებისას მიმდინარე იურიდიულ და

---

[4] Disciplinary proceedings Towards a professional judge, Samhav N. Sankar, ივლისი 2000, გვ. 1237 http://nonpublication.com/sankar2000.pdf [ნანახია 10.11.2022]

[5] http://dcj.court.ge/geo სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებები 2013 წლის 12 აპრილის №1/04-12 [ნანახია 10.11.2022]

[6] კ. წიქარიშვილი, მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა და დისციპლინური სამართალწარმოებაევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, (შედარებითი მომოხილვა), თბილისი, 2014, გვ. 3

[7] იქვე გვ.8

[8] გ. ხუბუა, სამართლის თეორია, გამომცემლობა „მერიდიანი”, თბ. 2004, გვ. 148

პოლიტიკურ დებატებს. ამ მასალების მოპოვება შესაძლებელია სტენოგრაფიული ჩანაწერების, სხდომის ანგარიშებისა და სხვა მასალების მეშვეობით.[9]

ისტორიული განმარტების მხრივ, კანონმდებლის ნების დადგენისათვის საგულისხმოა „საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი (23.02.2000) და მისი განმარტებითი ბარათი, რომელმაც საკანონმდებლო დონეზე პირველად დაარეგულირა დისციპლინური სამართალწარმოების პროცედურები საერთო სასამართლოების სისტემაში.[10] აღნიშნული კანონის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის სახედ მიიჩნეოდა „დისციპლინური უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანოების საქმიანობის ხელის შეშლა ან მისდამი უპატივცემულობა“. საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტი აღნიშნული „საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის იდენტურია და დისციპლინურ გადაცდომად მიიჩნევს დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელებისათვის ხელის შეშლას. შესაბამისად, აშკარაა, რომ ნორმის განმარტებისათვის მნიშვნელოვანია კანონმდებლის ნების დადგენა, რაც კანონის განმარტებითი ბარათის მეშვეობით არის შესაძლებელი. განმარტებითი ბარათის დანართის (კანონში მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების აღმნიშვნელი და სხვა შეფასებითი ცნებების განმარტება) მიხედვით, დისციპლინური უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანოების საქმიანობის ხელის შეშლად ან მისდამი უპატივცემულობად ჩაითვლება მოსამართლის მიერ დისციპლინური საქმის გამოძიებისათვის ხელოვნური დაბრკოლებების შექმნა; დისციპლინური უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანოს თუ თანამდებობის პირის წარმომადგენლისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდება; მათი შეცდომაში შეყვანა; ახსნა-განმარტების შედგენაზე უარის თქმა; სასამართლოს აპარატის თანამშრომლების ან სხვა პირთა დაყოლიება დისციპლინური უფლებამოსილების განმახორციელებელი ორგანოების თანამდებობის პირთა და მათი წარმომადგენლებისადმი ან მათი აუგად მოხსენიება და სხვა. აღნიშნული დისციპლინური გადაცდომა შეიძლება გამოიხატოს არა მარტო იმ მოსამართლის მოქმედებით, ვის წინააღმდეგაც არის აღძრული დისციპლინური დევნა ანდა

---

[9] გ. ხუბუა, სამართლის თეორია, გამომცემლობა „მერიდიანი”, თბ. 2004, გვ. 155

[10] კანონის მიღებამდე მოსამართლეთა მიმართ დისციპლინურ სამართალწარმოებას აწესრიგებდა საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 23 სექტემბრის №534 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულება „საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“.

მოწმდება დევნის აღძვრის საკითხი, აგრეთვე სხვა მოსამართლის მოქმედებითაც, რომელსაც კონკრეტული დისციპლინური საქმე არ ეხება.[11]

მოცემულ შემთხვევაში დამოუკიდებელმა ინსპექტორმა მოსამართლე თ. ხ.-ს კ. ო.-ს დისციპლინურ საჩივართან დაკავშირებით საქმის მასალების გაგზავნის თაობაზე წერილით 2018 წლის 13 დეკემბერს მიმართა. განმეორებითი წერილი საქმის მასალების დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურისათვის მიწოდების თაობაზე მოსამართლეს გაეგზავნა 2019 წლის 10 იანვარს - პირველი წერილის გაგზავნიდან 28 დღის შემდეგ, თუმცა მოსამართლე თ. ხ.-მ საქმის მასალები დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში გადააგზავნა მხოლოდ 2019 წლის 7 თებერვალს, შესაბამისად მოსამართლემ დამოუკიდებელი ინსპექტორის 2 წერილობითი მიმართვა უგულებელჰყო.

ამასთან, საქმის მასალები მხოლოდ მას შემდეგ გადაიგზავნა დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში, რაც ------- სასამართლოს თავმჯდომარისგან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია კონფიდენციალური წერილების მოსამართლე თ. ხ.-სთვის ჩაბარებისა თუ ჩაუბარებლობის შესახებ. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ მოსამართლემ საქმის მასალები დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურს გადააგზავნა ერთი თვისა და 25 დღის შემდეგ, მაშინ როდესაც დამოუკიდებელ ინსპექტორს დასკვნის მომზადებისათვის ჯამში მხოლოდ 2 თვე ჰქონდა[12].

ამდენად, მოსამართლის აღნიშნული ქმედება მიმართული იყო დისციპლინური საქმის განმახორციელებელი ორგანოსათვის ხელის შეშლისაკენ, რადგან არაერთი მიმართვის მიუხედავად საქმის მასალები, რაც აუცილებელი იყო დისციპლინური საქმის მოკვლევისათვის, გონივრულ ვადაში არ გადმოუგზავნა დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურს, რამაც თავისმხრივ დააბრკოლა დისციპლინური საქმის წინასწარ შემოწმებისა და გამოკვლევის პროცესი.

რაც შეეხება, მოსამართლის მითითებას იმის თაობაზე, რომ საქმის მასალების გამოთხოვის თაობაზე წერილებში არ იყო მითითებული მასალების გაგზავნის კონკრეტული ვადის შესახებ, უნდა აღინიშნოს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების განმახორციელებელი ორგანო ყოველ ეტაპზე ვალდებულია დაიცვას მოსამართლეთა უფლებები, პატივი სცეს მართლმსაჯულების შეუფერხებლად განხორციელების პრინციპს და დაიცვას ბალანსი დისციპლინური სამართალწარმოებასა და მოსამართლეთა დამოუკიდებლობას შორის. შესაბამისად, ისეთ პირობებში, როდესაც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს

---

[11] კანონში მოსამართლეთა დისციპლინური საფუძვლების აღმნიშვნელი და სხვა შეფასებითი ცნებების განმარტება https://info.parliament.ge/#law-drafting/11562 [ნანახია 10.11.2022]

[12] „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „დამოუკიდებელი ინსპექტორი მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შესახებ საჩივრის, განცხადების ან სხვა ინფორმაციის მიღების შემთხვევაში მისი მიღებიდან 2 თვეში წინასწარ ამოწმებს მის საფუძვლიანობას. წინასწარი შემოწმების ვადა შეიძლება 2 კვირით გაგრძელდეს ან შეჩერდეს წინასწარი შემოწმების შეუძლებლობის შემთხვევაში.“ (2022 წლის 14 ინავრამდე მოქმედი რედაქცია).

ორგანული კანონი არ განსაზღვრავს მასალების წარდგენისათვის კონკრეტულ ვადას, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ იყო უფლებამოსილი მოსამართლისათვის განესაზღვრა კონკრეტული ვადა.

მოსამართლე ახსნა-განმარტებაში აღნიშნავს, რომ საქმის მასალების დაგვიანებით გადაგზავნის მიზეზი იყო დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარისათვის ჩაბარება და შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელ ინსპექტორისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარისათვის ჩაბარების კონკრეტული ვადის ათვლის შესაძლებლობის მიცემა. აღნიშნულთან მიმართებით, მნიშვნელოვანია, რომ როგორც დისციპლინური საქმიდან №208/18 (კ. ო.-ს საჩივარი მოსამართლე თ. ხ.-ს მიმართ) შესწავლის შედეგად დადგინდა დასაბუთებული გადაწყვეტილება მხარეს გაეგზავნა კანონით დადგენილი ვადის გასვლიდან 7 თვისა და 2 დღის შემდეგ. შესაბამისად, წინასწარი მოკვლევისათვის დადგენილი 2 თვიანი ვადის მიწურულს, საქმის მასალების დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურისათვის გაგზავნა, მოსამართლის მიერ მითითებული საფუძვლების გათვალისწინებითაც კი დისციპლინური გადაცდომის შემამსუბუქებელ გარემოებად ვერ იქნება მიჩნეული.

ამდენად, მოცემული ფაქტობრივი გარემოებები ალბათობის მაღალი ხარისხით იძლევა საფუძველს ვარაუდისათვის, რომ მოსამართლე თ. ხ.-ს ქმედება შეიცავს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის სხდომაზე დისციპლინური საქმის განხილვისას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლებმა სრულად დაუჭირეს მხარი დისციპლინურ ბრალდებას.

საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის სხდომაზე მოსამართლე თ. ხ.-მ უარყო დისციპლინური ბრალდება, დაეთანხმა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში 2020 წლის 8 დეკემბერს წარდგენილ ახსნა-განმარტებას და დამატებით აღნიშნა, რომ დამოუკიდებელ ინსპექტორს საქმის მასალები იმ მოტივით არ გადუგზავნა, რომ საქმეზე არ ჰქონდა მომზადებული დასაბუთებული გადაწყვეტილება და მისი გადაგზავნის შემთხვევაში დამოუკიდებელი ინსპექტორი მის წინააღმდეგ გამოიტანდა უარყოფით დასკვნას, იმ თვალსაზრისით, რომ მხარეს (კ. ო.-ს) არ ჰქონდა ჩაბარებული დასაბუთებული გადაწყვეტილება.

საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადიციპლინო კოლეგიამ განიხილა დისციპლინური საქმე, შეისწავლა აღნიშნული საქმის მასალები, მოუსმინა დისციპლინური ბრალდების მხარეს, დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემულ პირს

და დადგენილად სცნო დისციპლინური ბრალდების ფაქტობრივი მხარე და მიიჩნია, რომ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სამართლებრივი ხასიათის გარემოებები:

,,საერთო სასამართლოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 75[39]-ე მუხლის თანახმად, სადისციპლინო კოლეგია ადგენს, ჩაიდინა თუ არა მოსამართლემ ქმედება, რომლისთვისაც მას წარედგინა დისციპლინური ბრალდება, და ამ კანონის შესაბამისად არის თუ არა ეს ქმედება დისციპლინური გადაცდომა, სადისციპლინო კოლეგია ასევე ადგენს, მიუძღვის თუ არა მოსამართლეს ბრალი დისციპლინური გადაცდომის ჩადენაში. მხოლოდ სამივე ამ გარემოების არსებობისას არის დიციპლინური კოლეგია უფლებამოსილი, მიიღოს გადაწყვეტილება მოსამართლის ბრალეულად ცნობისა და მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სახდელის დაკისრების შესახებ. სადისციპლინო კოლეგია უფლებამოსილია შეცვალოს მოსამართლის ქმედების კვალიფიკაცია ამ კანონის 75[1]-ე მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი სახის დიციპლინური გადაცდომით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს წარმოადგენს დისციპლინური გადაცდომის ჩადენაში მოსამართლის ბრალეულობის დადგენის სავალდებულოობა. თავის მხრივ, ბრალეულობის დასადგენად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყველა ის ობიექტური გარემოება, რამაც დისციპლინურ გადაცდომად შერაცხული კონკრეტული ქმედების ჩადენა განაპირობა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 75[1]-ე მუხლის მე-8 პუნქტის ,,გ.ბ'' ქვეპუნქტის თანახმად, დიციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს - მოსამართლის მიერ დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელებისათვის ხელის შეშლა.

იმისთვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს თავისი არსით რას წარმოადგენს მოსამართლის მიერ დისციპლიონური სამართალწარმოების განხორციელებისთვის ხელის შესშლა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის თანახმად, მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა (სახდელი) დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ თავით დადგენილი წესით განხორციელებული დისციპლინური სამართალწარმოების შედეგად დადგინდება მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენა.

ამდენად, განსახილველ შემთხვევაში, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, უნდა შეფასდეს გვაქვს თუ არა „საერთო

სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი.

სამოსამართლო ეთიკის წესების მე-4 მუხლის თანახმად, მოსამართლე უნდა უფრთხილდებოდეს მართლმსაჯულების პრესტიჟს და სასამართლო შენობაში თუ მის გარეთ არ უნდა იქცეოდეს სასამართლოსა და მოსამართლის თანამდებობისთვის შეუფერებლად.

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 2002 წლის №3 დასკვნაში აღნიშნულია, რომ სამოსამართლო დავების გადაწყვეტის არსებული მეთოდები ყოველთვის ნდობას უნდა იმსახურებდეს. უფლებამოსილებანი, რომლებითაც მოსამართლეები არიან აღჭურვილნი, უშუალოდ დაკავშირებულია ისეთ ღირებულებებთან, როგორიცაა სამართლიანობა, ჭეშმარიტება და თავისუფლება. მოსამართლეების მიმართ გამოყენებული ქცევის სტანდარტები გამომდინარეობს ამ ღირებულებებიდან და მართლმსაჯულების განხორციელების საფუძველს წარმოადგენს (§8). ამასთან, საზოგადოებრივი ნდობა და პატივისცემა სასამართლო ხელისუფლებისადმი სასამართლო სისტემის მუშაობის ეფექტიანობის გარანტიებს წარმოადგენს, ცალსახად ნათელია, რომ სამოსამართლო ქცევა პროფესიულ სფეროში საზოგადოების წევრების მიერ განიხილება, როგორც სასამართლოების მიმართ ნდობის განუყოფელი ნაწილი (§22).

ამდენად მოსამართლეებმა უნდა შეასრულონ თავიანთი მოვალეობები რაიმე სახის უპირატესობის, მიკერძოების ან წინასწარ შექმნილი განწყობის გარეშე, ნებისმიერ გარემოში უნდა იმოქმედონ მიუკერძოებლად, სამართლის ნორმების სრული დაცვით. მოსამართლეებმა თავი უნდა შეიკავონ ისეთი ქმედებისგან, რომელიც კანონს არ ეფუძნება ან შეუთავსებელია სამოსამართლეო ფუნქციების ჯეროვნად შესრულებასთან. მოსამართლეებმა უნდა იმოქმედონ ისე, რომ მათი პროფესიული კომპერტენტურობა თვალსაჩინო იყოს.

საქართველოს სამოსამართლეო ეთიკის წესების მე-8 მუხლის თანახმად, მოსამართლე ვალდებულია მასზე დაკისრებული მოვალეობები განახორციელოს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სათანადო გულისხმიერებით.

განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით დასტურდება, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 13 დეკემბრის N211/208-03 წერილით ---------- მოსამართლე თ. ხ.-სგან გამოთხოვილ იქნა კ. ო.-ს საქმის მასალები.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 10 იანვრის N2/208-03 წერილით ---------- სასამართლოს მოსამართლე თ. ხ.-სგან განმეორებით იქნა გამოთხოვილი კ. ო.-ს საქმის მასალები, სადაც მითითებულია, რომ წერილით მოთხოვნილი საქმის მასალების ასლები დამოუკიდებელი ინსპექტორის

სამსახურში არ შესულა და განმეორებით ითხოვდნენ უმოკლეს ვადაში საქმის მასალების გადაგზავნას ან ინფორმაციას მისი გადაგზავნის შემაფერხებელი მიზეზების თაობაზე.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელმა ინსპექტორმა 2018 წლის 31 დეკემბერს ---------- თავმჯდომარეს მიმართა N41/208-03 წერილით და გამოითხოვა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როდის გადაეცა თ. ხ.-ს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურიდან ---------- სასამართლოში 2018 წლის 14 დეკემბრისა და 2019 წლის 11 იანვარს შესული კონფიდენციალური წერილები. ---------- სასამართლოს თავმჯდომარის მიერ 2019 წლის 06 თებერვალს დამოუკიდებელი ისპექტორის სამსახურში გადაიგზავნა ამავე სასამართლოს ---------- სამდივნოს უფროსის გ. მ.-ს, მოსამართლე თ. ხ.-ს თანაშემწის ს. ბ.-ს და კანცელარიის სპეციალისტის ს. ბ.-ს მოხსენებითი ბარათები, რომლითაც დასტურდება, რომ დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურიდან შესული კონვერტები გაუხსნელი სახით იმავე დღეს გადაეცა მოსამართლე თ. ხ.-ს.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ დამოუკიდებელმა ისპექტორმა მოსამართლე თ. ხ.-ს კ.ო.-ს დისციპლინური საჩივართან დაკავშირებით საქმის მასალების გაგზავნის თაობაზე წერილით 2018 წლის 13 დეკემბერს მიმართა. განმეორებითი წერილი საქმის მასალების დამოუკიდებელი ისპექტორის სამსახურისათვის მიწოდების თაობაზე მოსამართლე თ. ხ.-ს გაეგზავნა 2019 წლის 10 იანვარს- პირველი წერილის გაგზავნიდან 28 დღის შემდეგ, თუმცა მოსამართლე თ. ხ.-მ საქმის მასალები დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში გადმოაგზავნა მხოლოდ 2019 წლის 07 თებერვალს, მანამდე კი მოსამართლე თ. ხ.-მ დამოუკიდებელი ისპექტორის 2 წერილობითი მიმართვა უგულებელჰყო. მოსამართლემ, საქმის მასალები მას შემდეგ გადაგზავნა დამოუკიდებელი ისპექტორის სამსახურში, რაც ---------- სასამართლოს თავმჯდომარისგან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია კონფიდენციალური წერილების მოსამართლე თ. ხ.-სთვის ჩაბარების შესახებ. ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ მოსამართლემ საქმის მასალები დამოუკიდებელი ისპექტორის სამსახურს გადაუგზავნა ერთი თვისა და 25 დღის შემდეგ, მაშინ როდესაც დამოუკიდებელ ინსპექტორს დასკვნის მომზადებისათვის ჯამში მხოლოდ 2 თვე ჰქონდა[13].

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის 2022 წლის 28 დეკემბრის სხდომაზე მოსამართლე თ. ხ.-მ დაადასტურა, რომ დამოუკიდებელ ინსპექტორს საქმის მასალები იმ მოტივით არ გადუგზავნა, რადგან საქმეზე არ ჰქონდა მომზადებული დასაბუთებული გადაწყვეტილება და მისი

[13] „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[7] მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „დამოუკიდებელი ინსპექტორი მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შესახებ საჩივრის, განცხადების ან სხვა ინფორმაციის მიღების შემთხვევაში მისი მიღებიდან 2 თვეში წინასწარ ამოწმებს მის საფუძვლიანობას. წინასწარი შემოწმების ვადა შეიძლება 2 კვირით გაგრძელდეს ან შეჩერდეს წინასწარი შემოწმების შეუძლებლობის შემთხვევაში.“ (2022 წლის 14 ინავრამდე მოქმედი რედაქცია).

გადაგზავნის შემთხვევაში დამოუკიდებელი ინსპექტორი მის წინააღმდეგ გამოიტანდა უარყოფით დასკვნას, იმ თვალსაზრისით, რომ მხარეს (კ. ო.-ს) არ ჰქონდა ჩაბარებული დასაბუთებული გადაწყვეტილება. სწორედ აღნიშნული ფაქტი ადასტურებს მოსამართლის მხირდან დისციპლინური სამართალწარმოებისთვის თავის არიდებას.

ამდენად, მოსამართლის აღნიშნული ქმედება მიმართული იყო დისციპლინური საქმის განმახორციელებელი ორგანოსათვის ხელის შეშლისაკენ, რადგან არაერთი მიმართვის მიუხედავად საქმის მასალები, რაც აუცილებელი იყო დისციპლინური საქმის მოკვლევისათვის, გონივრულ ვადაში არ გადაუგზავნა დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურს, უგულებელჰყო და არ შეასრულა დამოუკიდებელი ისპექტორის კანონისმნიერი მოთხოვნა რამაც თავის მხრივ დააბრკოლა დისციპლინური საქმის წინასწარ შემოწმებისა და გამოკვლევის პროცესი.

სადისციპლინო სხდომაზე მხარეთა მოსმენის და მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგად დადგენილი იქნა, რომ მოსამართლე თ. ხ.-მ განზრახ თავი აარიდა დამოუკიდებელი ინსპექტორის კანონიერი მოთხოვნის შესრულებას არაერთჯერადად- სხვა საქმზე დიციპლინური გადაცდომის ჩადენის დადასტურების თავიდან არიდების მიზნით, მან ჩაიდინა ახალი დიციპლინური გადაცდომა - მოსამართლის მიერ დიციპლინური სამართალწარმოების განხორციელებისთვის ხელის შეშლა, გამოიჩინა უპატივცემულობა დამოუკიდებელი ინსპეტორის არაერთი მოთხოვნისა, რაც შეუფერებელია მოსამართლისთვის და არ შეესაბამება ასეთი თანამდებობის პირისთვის დადგენილ მაღალ ქცევის სტანდარტებს. გამოჩენილი უპატივცემულობა ცალსახად მიანიშნებს მოსამართლე თ. ხ.-ს მხრიდან გადადგმულ არაგონივრულ ნაბიჯს ხელი შეეშალა დისციპლინური სამართალწარმოებისათვის მოთხოვნილი საქმის მასალების არაერთჯერადად არ გადაგზავნით, რამაც თავის მხრივ გამოიწვია დისციპლინური წარმოების კანონით დადგენილ ფარგლებში ხელოვნური დაბრკოლების შექმნა სათანადოდ ვერ განხორციელებულიყო დადგენილ ვადებში სადიციპლინო წარმოება. მოსამართლე თ. ხ.-მ სადიციპლინო სხდომაზე ვერ წარმოადგინა ჯეროვანი -სამართლებრივად მისაღები არგუმენტები მის საწინააღმდეგოდ არსებულ პოზიციის გასაბათილებლად. თ. ხ.-მ განაცხადა, რომ ზოგადად საქმეზე გადაწყვეტილების მომზადებისთვის დაახლოებით ესაჭირეოებოდა ერთი კვირა. უნდა აღინიშნოს, რომ დამოუკიდებელი ინსპექტორის პირველი წერილის მიღებიდან მას ჰქონდა შესაძლებლობა 01 თვისა და 25 დღის ვადის დაგვიანებით არ გადაეგზავნა საქმის მასალები დამოუკიდებელი ინსპექტორისთვის.

განსახილველ შემთხვევაში, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადიციპლინო კოლეგიას მიაჩნია, რომ მოსამართლე თ. ხ.-ს მიერ განხორციელებული ქმედებები შეიცავს ,,საერთო სასამართლოების შესახებ''

საქართველოს ორგანული კანონის 75^{1}-ე მუხლის მე-8 პუნქტის ,,გ.ბ'' ქვეპუნქტით განსაზღვრულ დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

,,საერთო სასამართლოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 75^{41}-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ'' ქვეპუნქტის თანახმად, სადიციპლინო კოლეგია უფლებამოსილია გამოიტანოს ერთ-ერთი შემდეგი გადწყვეტილება: მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის ჩადენაში ბრალეულად ცნობისა და მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სახდელის დაკისრების შესახებ.

,,საერთო სასამართლოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 75^{46}-ე მუხლის თანახმად, სადიციპლინო კოლეგია იღებს დიციპლინური გადაცდომის ჩადენაში მოსამართლის ბრალეულად ცნობისა და მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სახდელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებას, თუ სადისციპლინო კოლეგიაში დიციპლინური საქმის განხილვის შედეგად ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობით დადასტურდა აღნიშნული მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე დისციპლინური გადაცდომის ბრალეული ჩადენა და სადიციპლინო კოლეგიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისთვის ამ კანონის 75^{3} მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ერთ-ერთი დიციპლინური სახდელის დაკისრება.

სადისციპლინო კოლეგია განმარტავს, რომ სამოსამართლეო უფლებამოსილების განხორციელებისას თითოეული მოსამართლე მოქმედებს, არა მხოლოდ საკუთარი, არამედ მთლიანად სასამართლო ხელისუფლების სახელით. თითოეული მოსამართლის მიერ განხორციელებული ქმედება ზეგავლენას ახდენს სასამართლო სისტემის პრესტიჟზე, რაც პირდაპირ აისახება სასამართლო ხელისუფლების მიმართ საზოგადოების ნდობაზე. ყველა მოსამართლემ უნდა გააცნობიეროს და გაითვალისწინოს, რომ მოსამართლის მაღალი სტატუსიდან გამომდინარე თითოეული მათგანის საქმიანობა წარმოადგენს საზოგადოების მუდმივი, ლეგიტიმური ინტერესის საგანს. ამიტომ, მოსამართლე უნდა ზრუნავდეს მთლიანად სასამართლო ხელისუფლების პროფესიონალიზმის, სამართლიანობის, მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობისადმი საზოგადოების რწმენის დამკვიდრებასა და ამაღლებაზე. თითოეული მოსამართლე უნდა უფრთხილდებოდეს არა მხოლოდ საკუთარ, როგორც ცალკე აღებული მოსამართლის და პიროვნების ავტორიტეტს და პრესტიჟს, არამედ მთლიანად სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტს.

ამგვარად საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიამ დისციპლინური სახდელის დაკისრების საკითხის გადაწყვეტისას, გაითვალისწინა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, მხარეთა ახსნა-განმარტებები, დისციპლინური გადაცდომის შინაარსი, შედეგები და მიიჩნია, რომ ----------

სასამართლოს მოსამართლე თ. ხ.-ს უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი -**საყვედური**, ვინაიდან მითითებული ქმედება **როგორც უპაასუხისმგებლობა, მოსამართლისთვის შეუფერებელი ქცევა** არის უფრო მძიმე, რადგან მოსამართლემ განზრახ, ორჯერ უგულებელჰყო დამოუკიდებელი ისპექტორის კანონიერი მოთხოვნა, ამდენად იგი საპატიებელ **ქმედებათა სახეში ვერ თავსდება**, რათა კოლეგია დისციპლინური სახდელის უფრო **მსუბუქი სახით** შემოფარგლულიყო. ამასთან მოსამართლე თ. ხ. საქმეში წარმოდგენილ თავისივე ახსნა-განმარტებაშიც აღნიშნავს, რომ სადისციპლინო ორგანოს საქმიანობისთვის ხელოვნურაი დაბრკოლების შემქნა საკმაოდ მძიმე დარღვევაა და გაუმართლებლად მიაჩნია.

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 75^{1}-ე მუხლის მე-8 პუნქტის ,,გ.ბ'' ქვეპუნქტით, 75^{3}-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტით, 75^{41}-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ'' ქვეპუნქტით, 75^{52}-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. ---------- სასამართლოს მოსამართლე თ. ხ. ცნობილ იქნეს ბრალეულად ,, საერთო სასამართლოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 75^{1}-ე მუხლის მე-8 პუნქტის ,,გ.ბ'' ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის (მოსამართლის მიერ დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელებისათვის ხელის შეშლა) ჩადენისათვის და დაეკისროს დისციპლინური სახდელი - საყვედური.

2. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების ასლები გადაეგზავნოთ კანონით გათვალისწინებულ უფლებამოსილ პირებს და ორგანოებს.

3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში, გადაწყვეტილების გადაცემიდან 10 დღის ვადაში საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მეშვეობით.

თავმჯდომარე **გიორგი გოგინაშვილი**

წევრები: **თეა ლეონიძე**

მერაბ ლომიძე